ძალებს ცდიან

შავი ზღვის სანაპიროზე გაცხოველებული საფეხბურთო ცხოვრებაა. მომავალ საპასუხისმგებლო ასპარეზობათა წინ ძალებს ცდიან თბილისის დინამოელები, მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის შეხვედრები, მატჩებს დიდი ინტერესით ესწრებიან მაყურებლები.

თბილისის დინამოელებმა ამხანაგური საწვრთნელი მატჩი გამართეს მოსკოვის "ლოკომოტივთან" ხოსტაში. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი დაესწრო ამ მატჩს და ტელეფონით გადმოგვცა შემდეგი:

საერთო უპირატესობა თამაშის მსვლელობაში თბილისელებს ჰქონდათ, ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ დარასელიას, შენგელიას, ჰქონდა კარგი მომენტი გუცაევსაც. მიუხედავად ამისა, 90 წუთის მანძილზე ანგარიში არ გახსნილა – 0:0. თბილისის "დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ანდღულაძე (ცავა), ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"ლელო", 23 თებერვალი, 1982 წ.